ევროპა და მისი ინსტიტუციები

მსგავსი სახელწოდებები – იცით, რა განსხვავებაა მათ შორის?

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომლის სათავო ოფისი განთავსებულია სტრასბურგში. მასში გაერთიანებული 46 ქვეყნის მოსახლეობა ერთად 700 მილიონ მოქალაქეს აღემატება. ევროსაბჭოს მისიაა დემოკრატიის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვა ევროპაში.

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს აღმასრულებელი, გადაწყვეტილებათა მიმღები ორგანოა. ის შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ან სტრასბურგში მათი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლებისაგან. კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს ორგანიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით, ამტკიცებს ბიუჯეტსა თუ სამოქმედო გეგმას და მონიტორინგს უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილებების შესრულებას.

საპარლამენტო ასამბლეა ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა. მასში შედის 46 წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტების მიერ არჩეული თითო წარმომადგენელი. ამ ორგანოს ინიცირებულია ორგანიზაციის მიერ მიღებული ბევრი კონვენცია, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ასამბლეა წელიწადში ოთხჯერ იკრიბება სტრასბურგში.

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი პასუხისმგებელია ევროპის საბჭოს წევრ 46 სახელმწიფოში დემოკრატიის გაძლიერებაზე ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. მასში შედის 150 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული მთავრობის 612 არჩეული წარმომადგენელი.

ადამიანის უფლებათა კომისარი დამოუკიდებელი ინსტიტუციაა ევროპის საბჭოში. კომისრის როლია ადამიანის უფლებებზე ცნობადობის გაზრდა ორგანიზაციის წევრ 46 ქვეყანაში, ამ უფლებათა დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მდებარეობს სტრასბურგში და ის საბჭოს წევრ 46 სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესრულებას უზრუნველყოფს. სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლიათ ცალკეულ ინდივიდებსაც და სახელმწიფოებსაც. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქვეყნისთვის, რომელსაც ისინი ეხება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც ევროპის საბჭომ 1950 წელს მიიღო. ის უზრუნველყოფს ფუნდამენტური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას არა მხოლოდ ევროპის საბჭოს 46 წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის, არამედ თითოეული იმ ადამიანისთვის, ვინც ამ ქვეყნების მფარველობის ქვეშაა.

ევროპის სოციალური ქარტია ევროპის საბჭოს ხელშეკრულებაა, რომელიც იცავს ფუნდამენტურ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. ის მოიცავს ადამიანის ყოველდღიური უფლებების ფართო სპექტრს - დასაქმების, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის და კეთილდღეობის სფეროებში.

ევროკავშირი

ევროკავშირი 27 ქვეყნის გაერთიანებაა, რომლებმაც საკუთარი სუვერენულობა ნაწილობრივ ამ ორგანიზაციას მიანდეს, რათა მან ევროპის მასშტაბით ერთიანი დემოკრატიული გადაწყვეტილებები მიიღოს საერთო ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით.

ევროპული საბჭო შედგება წევრი ქვეყნების მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურებისა და ევროკომისიის პრეზიდენტისაგან. ეს ორგანო განსაზღვრავს ევროკავშირის ძირითად პრიორიტეტებს.

ევროკავშირის საბჭოს ევალება ორგანიზაციის ზოგად საქმიანობათა კოორდინირება. ევროპარლამენტთან ერთად, ეს საბჭო ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციას და იღებს ევროკავშირის ბიუჯეტს. ის შედგება წევრი ქვეყნების დარგობრივი მინისტრებისაგან, განსახილველი საკითხის მიხედვით.

ევროპარლამენტი შედგება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული წევრებისაგან. მისი სათავო ოფისი სტრასბურგში მდებარეობს. კომიტეტების შეხვედრები და დამატებითი პლენარული სხდომები ბრიუსელში ტარდება. ეს ორგანო, ევროკავშირის საბჭოსთან ერთად, საკანონმდებლო და საბიუჯეტო ფუნქციებს ასრულებს.

რეგიონების ევროპული კომიტეტი ევროკავშირის რეგიონულ და ადგილობრივ წარმომადგენელთა კრებაა. ის შედგება ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის რეგიონებისა და ქალაქების 350 არჩეული წარმომადგენლისაგან.

ევროკომისრები ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს, ევროკომისიის წევრები არიან. ევროკომისია, რომლის სათავო ოფისი ბრიუსელში მდებარეობს, 27 კომისრისაგან (თითო კომისარი თითო წევრი ქვეყნიდან) შედგება. ეს ორგანო წარადგენს კანონებს და უზრუნველყოფს მათ აღსრულებას, განკარგავს ბიუჯეტს, აკონტროლებს შეთანხმებათა შესრულებას. მისი მოვალეობაა ევროკავშირის ყოველდღიური მართვა.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ლუქსებურგში მდებარეობს და ევროკავშირში მართლმსაჯულების გაძლიერებაზე ზრუნავს. მას მიმართავენ ეროვნული სასამართლოები ამა თუ იმ საკითხზე მოსაზრების გამოსათქმელად.

ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია – ევროკავშირის დოკუმენტი ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ უფლებათა შესახებ - მიღებულია 2000 წელს.

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი წარმოადგენს დამსაქმებლებს, დასაქმებულებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. მისი მიზანია ევროკავშირის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ხარისხის ოპტიმიზაციის ხელშეწყობა.

იცოდით თუ არა

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო **ადამიანის უფლებათა მსოფლიო დეკლარაცია** ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებისთვის საერთაშორისო მასშტაბით. **მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მართლმსაჯულების ორგანოა. მისი სათავო ოფისი ჰაეგაშია.

*All references to Kosovo, whether to the territory, institutions or population, in this text shall be understood in full compliance with United Nations Security Council Resolution 1244 and without prejudice to the status of Kosovo.

საერთო დროშა

ეს დროშა 1955 წელს აირჩია ევროპის საბჭომ, მოგვიანებით, 1985 წელს კი ევროპის კავშირმაც მიიღო. ამგვარად, იგი ევროპული ერთიანობის საერთო სიმბოლოდ იქცა და რომელიმე ერთ ევროპულ ინსტიტუციას არ უკავშირდება.

PREMS 155225

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE